INSTITUTE FOR DEVELOPMENT OF FREEDOM OF INFORMATION

IDFI

საქართველოს საჯარო დაწესებულებების საინფორმაციო (ინტერნეტ) რესურსების მონიტორინგი - 2011

კვლევის ძირითადი მიზნები:

- საქართველოს საჯარო დაწესებულებების გამჭვირვალობის ხარისხის ამაღლება;
- ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ხელშეწყობა;
- საქართველოში ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება;
- საქართველოში ელექტრონული მმართველობისა და ელექტრონული გამჭვირვალობის განვითარება.

# საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის ოფიციალური ვებ-გვერდის (www.pptc.gov.ge) საინფორმაციო გამჭვირვალობისა და ელექტრონული მმართველობის შეფასებითი მონიტორინგი

2011 წლის 13 სექტემბერი

ყველა უფლება დაცულია

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

ა. მაჭავარიანის ქ. №4, ბინა1. 0179. საქართველო, თბილისი.

Tel: +995322 996364.

www.idfi.ge / www.opendata.ge

info@idfi.ge




საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი

www.pptc.gov.ge

**გამოვლენილი ძირითადი ხარვეზები და რეკომენდაციები**




ინფორმაციის არსებობა ვებ-გვერდზე
წარმოდგენილი ინფორმაციის ხარისხი
1. ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ
61,11%
65,14%
2. საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა
37,50%
20,00%
3. მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ
40,00%
43,75%
4. ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები
60,87%
29,54%
5. სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა
30,00%
31,17%
6. საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას
14,29%
18,50%
7. ს-დ საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები
40,00%
35,00%
8. საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა
0,00%
0,00%
9. საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)
14,29%
37,50%
0,00%
20,00%
40,00%
60,00%
80,00%

**საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის ვებ-გვერდზე არ მოიძიება:**

- **ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ**

**1.** ვებ-გვერდზე არ არის მოცემული სასწავლო ცენტრის დირექტორის კომპეტენციის აღწერა, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები და ფაქსის ნომერი:

**თანამშრომლები**

**ნატო გუგავა** - დირექტორი
ტელ.: (995 77 76 99 11; 832 2 945 955)
ngugava@pptc.gov.ge

სასურველია ვებ-გვერდზე შეიქმნას ცალკეული (ქვე-)განყოფილება - „ცენტის დირექტორი“ სადაც განთავსდებოდა დირექტორის შესახებ ყველა ზემოთ აღნიშნული ინფორმაცია.

ცენტრის დირექტორის ფოტოსურათი მოძიება მხოლოდ ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში „ჩვენს შესახებ“, არსებულ ქვე-განყოფილებაში „მიმართვა“, სასურველია დირექტორის ფოტოსურათი მოიძიებოდეს აგრეთვე ვებ-გვერდზე შესაქმნელ (ქვე-)განყოფილებაში „ცენტრის დირექტორი“:

**დირექტორი**

მოგესალმებით და მოგმართავთ ყველას, ვინც ჩვენს ვებ გვერდს ესტუმრეთ და გაინტერესებთ საქართველოს პენიტენციურ სისტემაში მიმდინარე რეფორმები.
სასწავლო ცენტრის დაფუძნების იდეა და მისი განხორციელების საწყისი ეტაპი კარგად მახსოვს. 2005 წლის დასაწყისში, სასჯელთა აღსრულების სისტემების რეფორმის დაგეგმვის პროცესში, ცხადი გახდა, რომ წარმატების მისაღწევად აუცილებელი იყო ამ სფეროს თანამშრომელთათვის სპეციალიზებული სასწავლო დაწესებულების შექმნა,. ამგვარი ინსტიტუცია იმ დროის პოსტსაბჭოურ სივრცეში მხოლოდ ბალტიისპირეთის ქვეყნებში არსებობდა. და აი, 2005 წლის ბოლოს საქართველოში დაარსდა სასწავლო ცენტრი, რომლის პირველად მიზანს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემაში დასაქმებული თანამშრომლების პროფესიული გადამზადება წარმოადგენდა.
დაფუძნებიდან 6 წელი გავიდა და სასწავლო ცენტრმა მაღალკვალიფიციურ თანამშრომელთა და ტრენერთა გუნდის დახმარებით მნიშვნელოვანი სამუშაო შეასრულა: შექმნა და განავითარა სასწავლო პროგრამები, გამოსცა სახელმძღვანელოები, გადაამზადა სისტემის 7 000 -მდე თანამშრომელი, დაამყარა მჭიდრო თანამშრომლობა შვედეთის, ნორვეგიის, გერმანიის, საფრანგეთის, პოლონეთისა და სომხეთის ანალოგიურ სასწავლო დაწესებულებებთან, შექმნა მდგრადი ინფრასტრუქტურა.
სასწავლო ცენტრში მუდამ მუშაობს პროფესიონალთა გუნდი, რომელიც განვითარებაზე და საერთაშორისო სტანდარტების დაფუძნებაზე ზრუნავს. ჩვენი ვალია, შევქმნათ ისეთი სტანდარტი და სერვისი, რომელიც ქვეყნის უსაფრთხოების გარანტიაში თავის წილ სამირკველს მუდამ გაამაგრებს.
ჩვენი მიზანია, არა მხოლოდ შევასრულოთ დაკისრებული მოვალეობა, არამედ ვიყოთ საუკეთესონი ამ სფეროში და მერწმუნეთ, ამ მნიშვნელოვან საქმეში საკმაოდ დიდი წვლილი ყოველ თქვენთაგანს უნდა მიგიძღოდეთ.
ჩვენ ვერ შევძლებთ, მოვამზადოთ ცოდნით გაჯერებული, რთული სიტუაციის მართვის უნარების მქონე, საკუთარ და სხვის უფლებებში გათვითცნობირებული, მაღალი მოტივაციის მქონე თანამშრომელი, თუ არ იქნება თქვენი ჯანსაღი კრიტიკა და სიახლეებისადმი სწრაფვა. ჩვენ მადლობაც გვინდა და საყვედურიც. მთავარია:

შემოგვიერთდით, არ დაიზაროთ, მოგვწერეთ და ერთად ვემსახუროთ ამ რთულ სფეროს!

მუდამ თქვენს სამსახურში,

ნატო გუგავა

**2.** სასწავლო ცენტრის სრული დასახელება არის „საჯარო სამართლის იურიდიული პირი სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი“, ვებ-გვერდზე არ არის მოცემული სიზუსტით ზემოთხსენებული დასახელება:




ამასთან, არ მოიძიება ვებ-გვერდის ოფიციალურობის დამადასტურებელი წერილობითი აღნიშვნა, სასწავლო ცენტრის საფოსტო მისამართი (საფოსტო ინდექსზე მითითება) და სასწავლო ცენტრის მდებარეობის აღმნიშვნელი რუკა.

**3.** ვებ-გვერდზე არ მოიძიება სასწავლო ცენტრის სრული სარეკვიზიტო ცნობარი (სტრუქტურული ქვედანაყოფების სატელეფონო ცნობარი, ელ. ფოსტა და ფაქსის ნომრები), აგრეთვე, არ მოიძიება სასწავლო ცენტრის მიერ ფიზიკური და იურიდიული პირების მიღების და მათთან მუშაობის გრაფიკი.

**4.** ვებ-გვერდზე მოცემულია სასწავლო ცენტრის საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, თუმცა სასურველია აქვე მითითებულიც იყოს რომ მოცემული ნომერი წარმოადგენს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ტელეფონის ნომერს:




ამასთან, საკონტაქტო ინფორმაციის განთავსების აღმნიშვნელი ღილაკი ძალზედ მცირეა, რაც სირთულეს ქმნის მომხმარებლისათვის აღნიშნული ინფორმაციის მოძიების მხრივ:

სასურველია ვებ-გვერდზე შეიქმნას ცალკეული (ქვე-)განყოფილება „კონტაქი“ ან „დაგვიკავშირდით“, სადაც განთავსდებოდა ზემოთხსენებული ინფორმაცია.

- **საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა**

**5.** ვებ-გვერდზე არ მოიძიება სასწავლო ცენტრის სტრუქტურის შესახებ შემდეგი სახის ინფორმაცია, კერძოდ:

- არ მოიძიება სასწავლო ცენტრის სტრუქტურული ქვედანაყოფების ჩამონათვალი;
- არ მოიძიება სტრუქტურული ქვედანაყოფების ამოცანების აღწერა;
- არ მოიძიება შემდეგი ორი სტრუქტურული ქვედანაყოფის: სასწავლო ნაწილისა და მართვის სამსახურის უფროსების შესახებ მოცემულ ინფორმაციას აკლია მათი ფოტოსურათები, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, კომპეტენციის აღწერა და ფაქსის ნომრები:

**ინგა სარჯველაძე** – სასწავლო ნაწილის უფროსი
ტელ.: (995 77 780 121; 832 2 14 99 11)
isarjveladze@pptc.gov.ge

**მიხეილ ყუფარაძე** – მართვის სამსახურის ეროსი
ტელ.: (995 77 49 27 72)
mkuparadze@pptc.gov.ge

- არ მოძიება სტრუქტურული ქვედანაყოფების ელექტრონული ფოსტის მისამართები და საკონტაქტო ტელეფონის ნომრები.

ვებ-გვერდზე მართალია მოცემულია სასწავლო ცენტრის სტრუქტურული ხე, თუმცა მასზე არ არის აღნიშნული სასწავლო ცენტრის სტრუქტურული ქვედანაყოფები: დირექტორის აპარატი, სასწავლო ნაწილი და მართვის სამსახური:

## სტრუქტურა




ამასთან, სასწავლო ცენტრის სტრუქტურული ხე სრული სახით არის წარმოდგენილი სასაწავლო ცენტრის საქმიანობის 2009 წლის ანგარიშში, სასურველია სასწავლო ცენტრის სტუქტურული ხე აღნიშნული ფორმით მოიძიებოდეს აგრეთვე განყოფილებაში „სტრუქტურა“:



- **მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ**

**6.** სასწავლო ცენტრის ვებ-გვერდზე არ არის მოცემული შემდეგი სახის მნიშვნელოვანი მონაცემთა ბაზები: არ არსებობს ვაკანსიათა არქივი (არ არსებობს შესაბამისი (ქვე-)განყოფილება), საერთაშორისო და ადმინისტრაციული ხელშეკრულებები, პროგრამები, გეგმები და პროგნოზები *და ა.შ.*

ამასთან, განყოფილებაში „მულტიმედია“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „ბიბლიოთეკა“ - „პუბლიკაცია“ განთავსებული პირველი ბმული არ იხსნება:




ვებ-გვერდის მთავარ გვერდზე არსებული განყოფილებები (ბანერები), სათაურად „სტაჟირება“ და „ვიდეო გაკვეთილები“ იუწყებიან, რომ „გვერდი მომზადების პროცესშია“:

- **ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები**

**7.** სასწავლო ცენტრის ვებ-გვერდზე განთავსებულ განყოფილებაში სათაურად „სიახლეები“ მოყვანილი უკანასკნელი საინფორმაციო ხასიათის ცნობები სასწავლო ცენტრის საქმიანობის შესახებ თარიღდება მხოლოდ 2011 წლის იანვრის თვით, რაც საშუალებას არ აძლევს მომხმარებელს გაეცნოს სასწავლო ცენტრის საქმიანობის შესახებ 2011 წლის იანვრის თვემდე განხორციელებული საქმიანობის შესახებ საინფორმაციო ხასიათის ცნობებს:



ტრენერთა ტრენინგი

კაჭრეთში, სასტუმრო "ამბასადორში" დაიწყო სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის ტრენერთა ტრენინგი თემაზე "პატიმრობის ევროპული სტანდარტები და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლთან დაკავშირებით". სასწავლო კურსი მიჰყავთ მაასტრიხტის უნივერსიტეტის პროფესორს ჟერარდ დე იონგს, სასწავლო ცენტრის ტრენერს მიხეილ ღურწკაიასა და ევროსაბჭოს ადგილობრივ ექსპერტს ბესარიონ ბოხაშვილს. ტრენინგი გახსნეს სასწავლო ცენტრის დირექტორმა ნატო გუგავამ და ევროპის საბჭოს პროექტის კოორდინატორმა გივი მიქანაძემ. ტრენინგის მსვლელობისას მონაწილეები გაეცნობიან საქართველოს "პატიმრობის კოდექსის" სიახლეებს, პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის ევროპულ სტანდარტებსა და ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრაქტიკას პატიმრობის წესების დარღვევებთან დაკავშირებით. ტრენინგის დასრულების შემდეგ სწავლების მონაწილეებს სპეციალური სერტიფიკატები გადაეცემათ. ღონისძიება ორგანიზებულია "დანიის საქართველოს პროგრამა 2010-2013 წწ. სასამართლო რეფორმა, ადამიანის და უმცირესობათა უფლებების ხელშეწყობის" პროექტის ფარგლებში. ტრენინგი 13 იანვარს დასრულდება.

10 იანვარი 2011

09 / იანვარი / 2011



გვერდი 8 - 8-დან

ამასთან, სასწავლო ცენტრის საქმიანობის შესახებ 2005-2010 წლების საინფორმაციო ხასიათის ცნობები განთავსებულია ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში „პროექტები“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „პორტფოლიო“, რაც ალოგიკურია და ართულებს აღნიშნული ინფორმაციის მოძიებას, სასურველია აღნიშნული ინფორმაცია განთავსდეს ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში „სიახლეები“:




**8**. სასწავლო ცენტრის საქმიანობის წლიური ანგარიშები განთავსებულია ალოგიკურ განყოფილებაში - „პროექტები“:



სასურველია ვებ-გვერდზე შეიქმნას ცალკეული (ქვე-)განყოფილება „წლიური ანგარიშები“, სადაც განთავსდებოდა როგორც ზემოთ აღნიშნული ინფორმაცია, ასევე სასწავლო ცენტრის საქმიანობის მიმდინარე კვარტალური მოხსენებები/ანგარიშები.

**9.** ვებ-გვერდზე არ არსებობს განყოფილება „პროგრამები“, სადაც მოყვანილი იქნებოდა იმ პროგრამების ჩამონათვალი და მათ შესრულების შესახებ (წლიური) მოხსენებები, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს სასწავლო ცენტრი. აგრეთვე, სასურველია მოიძიებოდეს ცნობები იმ პროგრამების ფარგლებში მიმდინარე ღონისძიებების შესახებ, რომელთა რეალიზაციაში მონაწილე მხარეს წარმოადგენს სასწავლო ცენტრი.

**10.** ვებ-გვერდზე მართალია არსებობს განყოფილება „პროექტები“, თუმცა მასში განთავსებულია მხოლოდ  პროექტების მშრალი ჩამონათვალი:




სასურველია აღნიშნულ განყოფილებაში განთავსდეს აგრეთვე, პროექტების შესრულების შესახებ (წლიური) მოხსენებები და ცნობები პროექტების ფარგლებში მიმდინარე ღონისძიებების შესახებ, შესახებ.

**11.** მართალია ვებ-გვერდზე არსებობს განყოფილება „პარტნიორობა“, თუმცა მასში განთავსებულია მხოლოდ სასწავლო ცენტრის პარტნიორ ორგანიზაციათა ვებ-გვერდებზე გადასასვლელი ბმულები. სასურველია აქვე განთავსდეს პარტნიორობის შესაბამისი ტექსტური ინფორმაციული აღწერაც:

**12.** ვებ-გვერდზე არ მოიძიება სასწავლო ცენტრის მმართველობის სფეროს მიკუთვნებულ ამა თუ იმ დარგის განვითარების გეგმების აღწერა და შესაბამისი პროგნოზები.

- **სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა**

**13.** ქვე-განყოფილება „კანონმდებლობა" განთავსებულია ალოგიკურ განყოფილებაში, კერძოდ კი, ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში, სათაურად „მულტიმედია" არსებულ ქვე-განყოფილებაში „ბიბლიოთეკა", რაც სირთულეს ქმნის მომხმარებლისათვის აღნულშნული ინფორმაციის მოძიების მხრივ:

გარდა ამისა, საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები განთავსებულია ასევე ალოგიკურ განყოფილებაში, კერძოდ კი, ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში „მულტიმედია" არსებულ ქვე-განყოფილებაში „ბიბლიოთეკა", არსებულ ქვე-განყოფილებაში „საერთაშორისო სტანდარტები", რაც სირთულეს ქმნის მომხმარებლისათვის აღნიშნული ინფორმაციის მოძიების მხრივ:




სასურველია ვებ-გვერდზე შეიქმნას ცალკეული განყოფილება (ბანერი) „კანონმდებლობა“, სადაც განთავსდებოდა, როგორც ზემოთ მოცემული ქვე-განყოფილებათა შიგთავსი, აგრეთვე სასწავლო ცენტრის საქმიანობის (მმართველობის) სფეროსთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტების პროექტები.

სასურველია აღნიშნულ განყოფილებაში აგრეთვე მოიძიებოდეს საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს დებულებაც.

- **საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას**

**14.** ვებ-გვერდზე არ მოიძიება ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მიმართვათა მიმოხილვა.

**15.** ვებ-გვერდზე არ არსებობს საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებული განცალკევებული განყოფილება. არ მოიძიება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურის ვინაობის (სახელი და გვარი), თანამდებობისა და საკონტაქტო რეკვიზიტების შესახებ ინფორმაცია, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა გასაჩივრების შესახებ ცნობები და სასწავლო ცენტრში შესული საჯარო ინფორმაციის გაცემასა და გაცემის მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია. აგრეთვე ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივრისა და საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ჩამოსატვირთი ფორმები/ნიმუშები.

- **საჯარო დაწესებულების საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები**

**16.** ვებ-გვერდზე არ მოიძიება ადმინისტრაციულ ხელშეკრულებათა ბლოკი/განყოფილება, სადაც მოყვანილი იქნებოდა სასწავლო ცენტრსა და ფიზიკურ/იურიდიულ პირებს შორის, სასწავლო ცენტრსა და სხვა საჯარო დაწესებულებას შორის გაფორმებულ ადმინისტრაციულ (სამოქალაქო/სამართლებრივ) ხელშეკრულებათა ჩამონათვალი და პირობები.

**17.** მართალია ვებ-გვერდზე არსებობს განყოფილება „ტენდერები“, მაგრამ მასში განთავსებულია შესყიდვების შესახებ მწირი ინფორმაცია, საჭიროა არსებობდეს განხორციელებული სახელმწიფო

შესყიდვებისა და ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) ამომწურავი ჩამონათვალი (სია). *(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი"**, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრისათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა (გამოცხადებული ტენდერები, კონკურსები და სხვა სახის სახელმწიფო შესყიდვები) და განხორციელებული სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების , პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) ამომწურავი ჩამონათვალი (სია), რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სასწავლო ცენტრის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:*

*http://www.opendata.ge/pdf_files/probaciissaswavlocentri_shesyidvebi0001.pdf);*

- **საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა**

**18.** ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-)განყოფილება სათაურად „ვაკანსიები", სადაც განთავსდებოდა ვაკანსიათა არქივი, აგრეთვე საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის შედეგები (სასწავლო ცენტრის მიერ კანდიდატთა პერსონალური მონაცემების ვებ-გვერდზე განთავსების საფუძვლებზე (თანხმობის მიღება) მითითებით, საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის პროცედურებისა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების წაყენების, მათი ადმინისტრაციული წარმოების გზით გასაჩივრების წესის აღწერა და ა.შ.

- **საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)**

**19.** ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი სასწავლო ცენტრის საქმიანობასთან დაკავშირებული ფინანსური ხასიათის შემდეგი სახის ინფორმაცია:

- არ მოიძიება სასწავლო ცენტრისათვის გამოყოფილი სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ყოველწლიური ასიგნებების შესახებ ინფორმაცია;

- არ მოიძიება სასწავლო ცენტრის ბიუჯეტში ასახული შემოსავლებისა და გასავლების / ბიუჯეტის შესრულების ბალანსისა და ბიუჯეტის ასიგნებების ხარჯვის შესახებ ზოგადი ინფორმაცია; *(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი"**, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრისათვის მიმართული ოფიციალური წერილით*

*მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) განხორციელებული სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნების ხარჯვის შესახებ ინფორმაცია, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს სასწავლო ცენტრის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე: http://www.opendata.ge/pdf_files/probaciissascavlocentri_budget0001.pdf);*

- არ მოიძიება საჯარო სამსახურებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელი თანამდებობის პირთა ჩამონათვალი და საშტატო ერთეულზე გათვალისწინებული ფინანსური განაკვეთების შესახებ ინფორმაცია;

- არ მოიძიება სასწავლო ცენტრის სრული სისტემის თანამშრომლებზე გაცემული ხელფასების, დანამატების და დარიცხული პრემიების წლიური ოდენობების შესახებ ინფორმაცია; *(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი"**, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრისათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე), ადმინისტრაციისა და სრული სისტემის თანამშრომლებზე გაცემული ხელფასებისა და პრემიების საერთო კვარტალური ოდენობების შესახებ ინფორმაცია (კონკრეტულ პირთა ვინაობაზე მითითების გარეშე), რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სასწავლო ცენტრის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე: http://www.opendata.ge/pdf_files/probaciissaswavlocentri_xelfasi0001.pdf);*

- არ მოიძიება სასწავლო ცენტრის შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე ან/და საკუთარი ინიციატივით განხორციელებული იმ პროექტებისა და პროგრამების (სოციალური, მიზნობრივი, კვლევითი, სამეცნიერო, საგანმანათლებლო, ამა თუ იმ სფეროს განვითარებაზე მიმართული და მისთ.) სავარაუდო და ფაქტობრივი ხარჯთაღრიცხვა, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს სასწავლო ცენტრი.

*შეფასება ვებ-გვერდის ელექტრონული კომპონენტის მიხედვით:*




ვებ-გვერდის ელ-მმართველობის ხარისხი
ტექნიკური პარამეტრის არსებობა ვებ-გვერდზე
1. ნავიგაცია
44,44%
2. ძიება
60,00%
3. მარტივად აღქმის კრიტერიუმები
56,25%
4. საკონტაქტო ფორმები და წესები
50,00%
5. ვებ-კონტენტის ხელმისაწვდომობა
26,67%
6. ადაპტაცია მობილურ კავშირგაბმულობასთან WAP
0,00%
7. სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი
40,00%
8. ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან
14,29%
9. ელექტრონული ჩართულობა
0,00%
10. ელექტრონული სერვისები
9,09%
11. უნარშეზღუდული მომხმარებლებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
0,00%
12. უსაფრთხოება
33,33%
13. დამატებითი მნიშვნელოვანი პარამეტრები
33,33%
0
0,1
0,2
0,3
0,4
0,5
0,6
0,7

- ნავიგაცია

მიუხედავად იმისა, რომ ვებ-გვერდის რუკის შედეგენა საკმაოდ მარტივია და საკმაოდ მნიშვნელოვანიავებ-გვერდს რუკის ღილაკი რეალურად არ ფუნქციონირებს:

ვებ-გვერდის მენიუდან ზოგიერთ ბმულზე დაჭერით გადავდივართ პირდაპირ PDF ფაილზე:




მენიუდან აუცილებლად  უნდა გაიხსნას გვერდი სადაც მომხმარებელს უნდა ჰქონდეს არჩევანის გაკეთების საშუალება: გახსნას PDF ფაილი თუ გადმოიწეროს ის;

- **ძიება**

ვებ-გვერდის ძიების მოდულს არ აქვს ძიების ღილაკი, რაც დაუშვებელია, რადგან ყველა მომხმარებელმა არ იცის, რომ ძიების განხორციელება Enter ღილაკითაც შეიძლება:

- **მარტივად აღქმის კრიტერიუმები**

ვებ-გვერდში გვხვდება სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის სტრუქტურა, რომელიც უხარისხო სურათის სახით არის გადმოცემული:



ტექსტის ამოკითხვა მოცემულ სურათზე საკმაოდ რთულია, ხოლო მხედველობასთან პრობლემების მქონე პირებისთვის შეუძლებელი. საჭიროა სტრუქტურის ტექსტის სახით გამოსახვა, ანალოგიური გრაფების გამოყენებით;

ძიების გვერდზე გვერდის დასახელებაში წერია „სიახლეები“:




- **ვებ-კონტენტის ხელმისაწვდომობა**

ვებ-გვერდის კონტენტის ხელმისაწვდომობის ხარისხი კიდევ უფრო იკლებს, როდესაც ყველა გვერდს არ აქვს სწორად გაწერილი Title, ამ შემთხვევაში კი თავად ვებ -გვერდს არ აქვს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის წარწერა:



- **სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი**

ვებ-გვერდის „ფანჯრის“ ჩამოწევისას, მენიუზე ზემოდან გადადის ანიმაცია, რაც არღვევს სტრუქტურას:




ვებ-გვერდის ძიებაში ჩნდება შეცდომები, რომელიც აუცილებლად უნდა გამოსწორდეს:



ბრაუზერ ოპერაში ვებ-გვერდის სტრუქტურა ირღვევა:

ასევე უნდა ითქვას, რომ ამავე ბრაუზერში სტანდარტულ ფონტად Sylfaen-ი არ არის გამოყენებული, რაც ცვლის ტექსტის იერსახეს:

25 / ივნისი / 2011

ტრენერთა ტრენინგი პრობაციის სისტემის როლთან დაკავშირებით

კაქრეთში, სასტუმრო "ამბასადორში" დაიწყო ოთხდღიანი ტრენერთა ტრენინგი თემაზე „პრობაციის სამსახურის როლი პირობით ვადამდე გათავისუფლებულებთან მიმართებაში ევროპული სტანდარტების მიხედვით". ტრენინგის მსვლელობისას მონაწილეები გაეცნობიან დანაშაულის ჩადენის კრიმინოგენულ და არაკრიმინოგენულ პრობლემებს, ვადამდე გათავისუფლებულთა საქმეებზე რისკების შეფასებასა და მათ მართვას, განმეორებითი დანაშაულის ჩადენის ალბათობას, ზიანის მიყენების რისკსა და რისკის ამსახველ მატრიცას, გაიმართება დისკუსია და ინფორმაციის გაცვლა საქართველოს სამართლებრივი კონტექსტის ევროპულ სტანდარტებთან მიმართებაში. ტრენინგის დასრულების შემდეგ სწავლების ლეებს შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი სერტიფიკატი გადაეცემათ. ტრენერთა ვის მიზანს იმ 10 ტრენერის მომზადება წარმოადგენს, რომლებიც ტრენინგის გავლის შემდეგ ,ის სისტემის თანამშრომლებს გადაამზადებენ აღნიშნული პროგრამის მიხედვით. ღონისძიება ზებულია ევროპის საბჭოს მიერ "დანიის საქართველოს პროგრამა 2010-2013 წწ. სასამართლო მა, ადამიანის და უმცირესობათა უფლებების ხელშეწყობის" პროექტის ფარგლებში. ტრენინგი ს დასრულდება.

19 ივნისი 2011

18 / ივნისი / 2011

ვებ-გვერდის ინგლისურ ვერსიაში ზოგიერთი კატეგორია შევსებულია ქართული ტექსტით, მაგალითად:

- **უსაფრთხოება**

ვებ-გვერდის Robots.txt-ში მოცემულია ადმინისტრაციის გვერდის მისამართი, რაც საკმაოდ სახიფათოა. Robots.txt-იდან აუცილებლად უნდა წაიშალოს ადმინისტრაციის გვერდის მისამართი:

```
User-agent: *
Disallow: /administrator/
Disallow: /cache/
Disallow: /components/
Disallow: /images/
Disallow: /includes/
Disallow: /installation/
Disallow: /language/
Disallow: /libraries/
Disallow: /media/
Disallow: /modules/
Disallow: /plugins/
Disallow: /templates/
Disallow: /tmp/
Disallow: /xmlrpc/
```

## ვებ-გვერდის ზოგადი შეფასება

ვებ-გვერდი აწყობილია მზა ვებ-გვერდის მოდულის - JOOMLA - გამოყენებით. მისი არასწორი კონფიგურაცია განაპირობებს ვებ-გვერდის უხარისხობას, ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ვებ-გვერდს აქვს უამრავი შეცდომა, სტრუქტურის დარღვევები, პრობლემები აქვს უსაფრთხოების კუთხით. ზოგადად, ვებ-გვერდზე შეიძლება ითქვას, რომ მას სჭირდება საფუძვლიანი განახლება.